საქრართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტა-
მენტის უფროსს
ქ-ნ მარინა დარახველიძეს

ქალბატონო მარინა,

თქვენს მიერ მოწოდებულ შემთხვევაზე, რომელიც ეხება ანტიკონვულსიურ თერაპიას მოგახსენებთ შემდეგს:

1. კითხვა:
   არის თუ არა საქართველოში შემოთავზებული ანტიკონვულსიური თერაპიები?
   პასუხი:
   დიახ საქართველოში მკურნალობენ ეპილეფსიისა და კონვულსიების მქონე პაციენტებს, როგორც ამბულატორულად ისე ინტრაჰოსპიტალურად.
2. კითხვა:
   არის საქართველოში ხელმისაწვდომი ანტიკონვულსიური მედიკამენტები? დადებითი პასუხის შემთხვევაში რომლები?
   პასუხი:
   დიახ საქართველოში არის ანტიკონვულსანტური პრეპარატები. ესენია:
   - ✓ ფენობარბიტალი
   - ✓ ვალპროატი
   - ✓ ლამოტრიჯინი
   - ✓ კბამაზეპინი
   - ✓ ლევეტირაცეტამი
   - ✓ ტოპირამატი

   სხვა პრეპარატებიც არის რეგისტრირებული მაგ: ლაკოზამიდი, ოქსკარბაზეპინი, მაგრამ ამჟამად ისინი საქართველოს სააფთიაქო ქსელში ხელმისაწვდომი არ არის.
3. კითხვა:
   ვინ იღებს საქართველოში საკუთარ თავზე ასეთი თერაპიების და მედიკამენტების ხარჯს?
   პასუხი:
   ამ კითხვაზე პასუხი სცდება ჩემი კომპეტენციის ფარგლებს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია პირველადი დიაგნოსტიკა შესაძლოა განხორციელდეს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ოღონდ აქ არ ფინანსდება მედიკამენტები; სადაზღვევო კომპანიების პაკეტებშიც ეპილეფსია და მასთან დაკავშირებული მკურნალობა უხშირესად გამონაკლისშია. აქედან გამომდინარე უმეტეს შემთხვევაში მკურნალობის და მონიტორირების ხარჯებს საქართველოში საკუთარ თავზე იღებს პაციენტი.

პატივისცემით,

ექსპერტი ნევროლოგიის დარგში — თენგიზ წულაძე

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 43592
- 4 - 7 05 2018 წ.
ფურცელი
6174